ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი

პროფესორი ლიანა კიკალიშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი მანანა რამიშვილი

ასოცირებული პროფესორი ლეილა ჯანდიერი

ასოცირებული პროფესორი თამარ თურმანიძე

კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი ლევან ბენაშვილი

ასოცირებული პროფესორი ევგენი ასათიანი

ასოცირებული პროფესორი ქეთევან ჯანდიერი

ასისტენტ-პროფესორი რევაზ ოთარაშვილი

კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი

ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი დაარსდა 1919 წელს.
კათედრის გამგეები იყვნენ:
პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი (1919), პროფესორი ნიკოლოზ კახიანი (1919-1926).
1926 წელს კათედრა გაიყო ორ დოცენტურად - ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის.
პირველი მიუერთდა ნორმალური ანატომიის, ხოლო მეორე ზოგადი ქირურგიის კათედრას.
პირველის გამგე იყო პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი, მეორის კი პროფესორი ნიკოლოზ კახიანი.
1928 წლიდან, პროფესორ ნიკოლოზ კახიანის გარდაცვალების შემდეგ, ოპერაციული ქირურგიის დოცენტურა გამოეყო ზოგადი ქირურგიის კათედრას. მისი ხელმძღვანელი 1928-1931 წლებში იყო პროფესორი ალექსანდრე წულუკიძე, 1931-1937 წლებში კი პროფესორი დავით იოსელიანი.
ტოპოგრაფიული ანატომიის დოცენტურას ნათიშვილის (1926-1928წ.წ.) შემდეგ ხელმძღვანელობდნენ პროფესორი ვლადიმერ ცეცხლაძე (1929-1930წ.წ.) და პროფესორი ნიკოლოზ დემეტრაძე (1931- 1937წ.წ.).
1937 წელს ორივე დოცენტურა გაერთიანდა ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრად.
1937 წლიდან 1947 წლამდე მას ხელმძღვანელობდა პროფესორი დავით იოსელიანი, ხოლო 1947 წლიდან 1954 წლამდე - პროფესორი ნიკოლოზ დემეტრაძე.

1954 წლიდან 1986 წლამდე კათედრას განაგებდა პროფესორი შალვა თოიძე, 1987 წლიდან 1992 წლამდე კათედრის გამგე იყო პროფესორი საულ კახიანი. 1992 წლიდან 2004 წლამდე კათედრის გამგე იყო დოცენტი ელგუჯა ყიფიანი, 2004 წელს კი კათედრის გამგედ აირჩიეს პროფესორი ლია კიკალიშვილი.

წლების განმავლობაში კათედრის სამეცნიერო კვლევის საგანი იყო ადამიანის სხეულის აგებულების ინდივიდური ცვალებადობა, ღვიძლის სტრუქტურის, მისი სისხლძარღვების და ლიმფური ძარღვების ტოპოგრაფიის შესწავლა, ღვიძლზე ოპერაციული ჩარევის ტაქტიკის და გზების დამუშავება.

2006 წელს შეიქმნა ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი-პროფ. ლიანა კიკალიშვილი), რომელიც აერთიანებდა 2 მიმართულებას.
2019 წლიდან დეპარტამენტს შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი. კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი მუშაობს დიპლომამდელი, სარეზიდენტო, სადოქტორო პროგრამებით, იკვლევს ღვიძლის მილოვანი სისტემის ინტრაორგანულ ტოპოგრაფიას, ღვიძლის ექსპერიმენტულ მორფოლოგიას, ღვიძლის ოპერაციული ქირურგიის საკითხებს.
დეპარტამენტის თანამშრომლებმა გამოსცეს შემდეგი სახელმძღვანელოები:
1. შ. თოიძე, ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი დ. კორძაია – ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია. თბილისი, 2008.
2. შ. თოიძე, ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი დ. კორძაია - ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი, 2005.
3. თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (ლ.კიკალიშვილისა და მ.რამიშვილის რედაქციით), თბილისი, 2006.
4. ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგია ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი დ. კორძაია 2014
5. Clinical Anatomy By Rejions – L. Kikalishvili, T. Turmanidze 2012.
6. Topographic anatomy and Operative Surgery of Head and Neck, T. Turmanidze, L. Kikalishvili 2018.
Clinical anatomy and operative surgery - 2019.

პედაგოგიური პერსონალი:
დეპარტამენტს ხელმძღვანელობს - პროფესორი ლიანა კიკალიშვილი
ასოცირებული პროფესორები - მანანა რამიშვილი, ლეილა ჯანდიერი, თამარ თურმანიძე, ლევან ბენაშვილი, ევგენი ასათიანი; ქეთევან ჯანდიერი.
ლაბორანტები: მადონა რამიშვილი, ეკატერინე არევაძე.